# საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.


N 156
14/06/2016

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის გაწეული მუშაობის**

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

2016 წლის 15 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა სამი სხდომა, აღნიშნული კომისიების სხდომის დროს განხილული იქნა ოთხი საკითხი.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
4. გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის შესახებ.

პირველ და მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა: თანხმობა მიეცეს გამგებელს, საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილ იქნას აღნიშნული ობიექტი.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კომისიამ გადაწყვიტა ცნობად იქნას მიღებული ა(ა).ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ინფორმაცია საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი პავლიონის შენობისა და ადმინისტრაციულ შენობასათნ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში შეტანის საკითხი გადაწყვეტილი იქნას სოფლის კრების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

დავით ჭაკნელიძე

კომისიის თავმჯდომარე

აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია